პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 დეკემბერი კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 284 (15497)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციების მშრომელთა კოლექტივების ინიციატივის შესახებ

როგორც უკვე კეთილგებულია პრესაში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ დღეებში განიხილეს სახელმწიფოდ და შრომის დისციპლინის განმტკიცებლად, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების გამოცვლაზე ინიციატივის ბრძოლის გასაძლიერებლად მიმართულ ღონისძიებათა, და ეროვნული მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციების მშრომელთა კოლექტივების ინიციატივის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ თვითეული სოციალისტური შრომითი კოლექტივის მიერ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, ბეჭედი ბუთწლედის დირექტივების, კოლექტივების სოციალურ-ეკონომიური განვითარების პერსპექტიული გეგმების, სახალხო მეურნეობისათვის დაწესებული მიმდინარე გეგმების და ვალდებულების წარმატებით შესრულების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის შემტკიცება. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მაღალ საწარმოო შედეგები აღწევენ მხოლოდ ის კოლექტივები, რომელთა წევრები მუშაობენ განუხრელად და ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებით, ყველაზე მაღლა აყენებენ მათ, იჩენენ ლესობრივ და პარტიულ მოდგომას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრობლემათა გადაჭრისადმი, საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალ შეგნებას. პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, განუხრელად და უნაკლოდ იცავენ სახელმწიფო, პარტიულ, შრომის დისციპლინას.

მშრომელთა ორგანიზებულობის, ჩვენი საზოგადოების, თვითეული წევრის დისციპლინიანობის შემდგომი ამაღლება და ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება აუცილებელი პირობაა, რათა წარმატებით განხორციელდეს პარტიის ძირითადი საპროგრამო მოთხოვნები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ახალი ადამიანის — მომავლის მშენებლის ჩამოყალიბების შესახებ.

შრომითი კოლექტივების როლი ამ ძირეული პრობლემების გადაჭრაში დღითი დღე სულ უფრო იზრდება.

სკკპ XXIV ყრილობამ სავსებით კანონზომიერად გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, დავიცვათ სოციალისტური კანონიერება სამეურნეო ურთიერთობაში, გავაძლიეროთ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა სახელმწიფო დავალებათა ჯეროვან შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხისა და ეხორციელებულობისათვის, ნედლეულისა და მასალების ყურადღებიანად და ეკონომიურად ხარჯვისათვის, მომპირნეობის რეჟიმისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ამავე დროს რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში, კოლეგიურობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯეროვანი ყურადღებით რიდი ეკიდებიან ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს. სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის შესუსტების, მუშაკებისადმი მომთხოვნელობის შემცირების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ზოგიერთი ძირითადი პრინციპის დარღვევის შედეგად მეელი, ბევრი საწარმოო კოლექტივები სისტემატურად ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს, რითაც საგრძნობ ზარალს აყენებენ რესპუბლიკის ეკონომიკას.

სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შექმნილი მდგომარეობისათვის დიდი ბრალი მიუძღვით მათ ხელმძღვანელებს — წარმოების მეთაურებს, რომლებსაც მუდამ რიდი აქვთ სრულად შეასრულონ თავიანთი პირადი პასუხისმგებლობა იმ კოლექტივების შრომის შედეგებისათვის, რომელთაც უდგანან სათავეში. ამავე დროს თვითეული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელი, პროფკავშირული და კომკავშირული წევრი ვალდებული უნდა იყოს თავისი შრომითი კოლექტივის ნამდვილი პოლიტიკური და სოციალური ლიდერი და პერსონალურად აგებდეს პასუხს კოლექტივის საქმეთა ვითარებისათვის, უწინარეს ყოვლისა მისადმი მინდობილ სამუშაო უბანზე სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

სოციალისტური დისციპლინა ერთიანი და სავალდებულოა ყველასათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა პოსტი უკავია ამა თუ იმ პირს. შეგნებული დისციპლინა ჩვენი მშრომელების ორგანიზებულობის, დარაზმულობისა და მონოლითურობის საფუძველია. მაგრამ ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ცუდად იყენებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, რაც უარყოფითად მოქმედებს დისციპლინის განმტკიცების პროცესზე.

შინაპარტიული და საერთო-სახალხო დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, განხილვის თავისუფლების, მშრომელთა წინადადებებსა და შენიშვნებზე ზუსტი და ოპერატიული რეაგირების შემდგომი განვითარება სახელმწიფო, პარტიულთა და შრომის დისციპლინის განმტკიცების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. დისციპლინიან, გულშოდგინე მუშაკთა აღზრდას, რომელთაც შეგნებული აქვთ მინდობილი საქმისა და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის მთელი პირადი პასუხისმგებლობა, ბევრად უწყობს ხელს მაღალი პრინციპულობის, მომთხოვნელობის ატმოსფერო. ჩვენი საზოგადოების ცხოვრების პრინციპების ყოველგვარი დარღვევებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო. სახელმწიფო დისციპლინა ვერ იტანს უყაირათობას, მომთხოვნელობისა და წესრიგის ყოველგვარი შესუსტება წარმოშობს სოციალისტური საკუთრების დანაკარგებს, გაფლანგვებს, ბიუროკრატიზმს, განაკვეთების და დანაკარგებს, სპეკულაციის ხელშემწყობ ნიადაგსა და წანამძღვრებს, კერძომფაკუთრულ ტენდენციებს.

პარტიას, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინას საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორც სკკპ XXIV ყრილობაზე აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, მხედველობაში აქვს დისციპლინა, რომელსაც საფუძველად უდგეს არა შიში, არა მკაცრი ადმინისტრირების მეთოდები, არამედ ადამიანთა მაღალი შეგნებულობა და პასუხისმგებლობა. ამასთანავე შეუწყნარებელია იმისი გამოფოფინებანი, როგორიც არის ლიბერალიზმი, შემრიგებლობა სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებისადმი.

დისციპლინის განმტკიცება არა მარტო ორგანიზაციული, არამედ პოლიტიკური საკითხიც არის. სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის, სოციალისტური საერთო ეროვნების წესების დარღვევის ოვითეული ცალკეული ფაქტი, განსაკუთრებით თუ ამას სჩადიან კომუნისტები და კომკავშირელები, უნდა გახდეს კოლექტივში განხილვის, პარტიული ორგანიზაციაში მკაცრი, პრინციპული კრიტიკის საგანი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც თავიანთი არსებულობა ალმაშრდილობით მუშაობის ნაცვალი ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების მდიდარი არსენალი აქვთ, საზოგაოოლების თვითეულ წევრს უნდა ჩაუნერგონ და განუვითარონ მაღალი შეგნებული დისციპლინა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ამ მოშობაში პარტიული ორგანიზაციები უნდა იყრდნობოდნენ მშრომელთა ფართო მასებს, მხოლოდ მათი მტკიცე მხარდაჭერითა და აქტიურობით შეიძლება მივაღწიოთ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის მაღალ დონეს და სახორველ ეფექტს ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სულ უფრო ძლიერდება ამ პასუხსაგებ საქმეში ხალხის რჩეულთა, მის სრულფუფლებიან წარმომადგენელთა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა როლი, როგორია სტატუსი და უფლება-მოვალეობანი უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაფართოდა.

სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება მშრომელთა ერთ-ერთი ძირითადი გასაწესია თავიანთი დეპუტატებისადმი. პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა ხალხის რჩეულებს — დეპუტატებს ყველა პირობა ონდა შეუქმნან ამ დიდმნიშვნელოვანი მისიის შესრულებისათვის, მშრომელი მასების ნების რეალიზაციისათვის.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდად აფასებენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშათა კრებების და აქტრის ასსრ კომუნისტთა რაიონის ხუცუბნისა და გორის რაიონის ტყიბულის სასოფლო ყრილობების მონაწილეთა ინიციატივას, რომლებმაც განიხილეს ის საკითხები, რომ კიდევ უფრო გაადიდონ მშრომელთა პასუხისმგებლობა ყველა მიჩვენებლის მიხედვით სახელმწიფო გეგმების უთუოდ შეხრულებისათვის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ყველა რგოლში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. თვითეულ საუშაო ადგილს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს იმათ, ვინც არღვევს კომუნისტის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპებს, სოციალისტური და კომუნისტური შრომის პრინციპებს, ხელს უშლის შრომითს კოლექტივებს კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში, ბრძოლა გამოუცხადეს გამცდენებს, ფრენებს, ხარფის მოგვარულებსა და სოციალისტური საზოგადოების სხვა ანტიკოდებს.

მუშათა კრებებისა და სასოფლო ყრილობების მონაწილეთა გადწყვეტილებანი ითვალისწინებენ თავიანთი მიკრორაიონებისა და სოფლების გადაქცევას მაღალი კულტურისა და სანმეშო საზოგადოებრივი წესრიგის კერებად.

ამ საწარმოთა და მეურნეობათა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს გააჩაღონ აქტიური ბრძოლა ყველა იმ პირობის აღმოფხვრისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ სამართალდარღვევებს, გაამჟღავნონ ლოკალიზმი, ადგილობრივი ინტერესებისადმი ერთგულება, ბიუროკრატიზმი, ფარისევლობა, ბოროტ-ბოროტ ბიბლიოთეკა

საიუბილეო ვახტზე

თბილისის № 2 ხატრიკოტაჟო ფაბრიკის კოლექტივის 70 პროცენტი ახალგაზრდობაა. ხაწარმო ამჟამად რიტმულად მუშაობს, ყოველთვიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. მიმდინარე წლის ათი თვის რეალიზაციის გეგმა შეხრულებულია 100.6 პროცენტით, ხახაქონლო პროდუქციისა 100.8 პროცენტით. ხაწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია ხაბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში იგზავნება.

სურათზე: - სამკერვალო ხაამქრო. წინა პლანზეა ერთ-ერთი მოწინავე მკერავი-მოტორისტი ბ. თოდუა. ცვლის დავალებებს იგი 120 პროცენტით ასრულებს.

ა. ს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

(დასასრული)

ქმნას, რეალგირებისა და სერიოზული, პრინციპული განხილვის გარეშე არ დატოვონ ეგოიზმის, ინდივიდუალიზმის, კერძომესაკუთრული ტენდენციების, მომხვეჭელობისა და მეკრთამეობის გამოვლინების, სოციალისტური საერთო ცხოვრებისა ნორმების, კომუნიზმის შენებლის მორალური კოდექსის პრინციპების დარღვევის არც ერთი ფაქტი, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ ხრადიან კომუნისტები ან კომკავშირელები.

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ყოველი ღონისძიებით და ყველგან, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში განამტკიცონ სახელმწიფო დისციპლინა, სამეურნეო დისციპლინის ყველა ფორმა (საგეგმო, ტექნოლოგიური, სახელშეკრულებო, საფინანსო და სხვ.) და ამის საფუძველზე უზრუნველყონ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ გეგმების და დავალებების უთუოდ შესრულება, იბრძოლონ პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის; სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა მიიჩნიონ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად, რომლის გადაჭრა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საარსებო აუცილებლობას წარმოადგენს.

მოეთხოვოთ რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს:

დაამყარონ სახელმწიფო წესრიგი სამინისტროთა და უწყებათა ყველა რგოლის საქმიანობაში, ზუსტად და თანამიმდევრულად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის დირექტივები, რომლებიც მიზნად ისახავენ პროდუქციის წარმოების გადიდებას, ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას;

გააუმჯობესონ სამინისტროთა, უწყებათა კოლეგიების, აპარატების მუშაობის სტილი და მეთოდები, შეიმუშაონ მუშაობის მინდობილი უბნისათვის თვითეული ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და ორგანიზაციის მოწესრიგების ეფექტიანი ღონისძიებანი.

საქართველოს პროფსაბჭომ უზრუნველყოს რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მოძრაობაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისათვის, გამცდენებისა და ფრენების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაღალი კულტურისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის კერად თვითეული საწარმოს მიკრორაიონის, თვითეული საბჭოთა მეურნეობის დასახლების ტერიტორიის გადაქცევისათვის მოძრაობაში.

გათვალისწინოს, რომ მშრომელთა შეგნებული დისციპლინირებისა და საზოგადოების ფართო დემოკრატიული საწყისების განვითარების უმაღლესი გამოვლინება სოციალისტური შეჯიბრება, და ყოველნაირად გაუწიოს პროპაგანდა და დაუჭიროს მხარი წარმოების მოწინავეთა, ნოვატორთა და რაციონალიზატორთა სახალხო ინიციატივას, ფართოდ დანერგოს მათი გამოცდილება პრაქტიკაში; სოციალისტური შეჯიბრება და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა გადააქციოს მაღალშეგნებული სახელმწიფო და შრომის დისციპლინის სკოლად, და გამოიყენოს ისინი საერთოსახალხო დემოკრატიის შემდგომი განვითარების, პასუხისმგებლობისა და ერთმანეთისადმი მომთხოვნელობის ამაღლების ეფექტიან საშუალებად.

რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ხელმძღვანელობასთან და სამეცნიერო ცენტრებთან ერთად ღრმად შეისწავლოს სამუშაო დროის დანაკარგების, მოცდენის, გაცდენისა და კადრების დენადობის მიზეზები, შეიმუშაოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დახაბუთებული რეკომენდაციები, რისთვისაც გამოიყენოს ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა დადებითი გამოცდილება.

საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა ფართოდ ჩაბას კომკავშირელები და ახალგაზრდობა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. გააძლიეროს აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში, განუვითაროს ჭალიშვილებსა და ვაჟიკაცებს მაღალი შეგნებულობისა და კომუნისტური მრწამსის გრძნობა, წარსულის გადმონაშთებისადმი, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევებისადმი შეუწყნარებლობის გრძნობა. უზრუნველყოს თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობა იმისათვის მოძრაობაში, რომ ყოველი საწარმოს მიკროორაიონი, ყოველი სასოფლო საბჭოს ტერიტორია გადაქცეონ მაღალი კულტურისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის კერად.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციები, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებანი, შემოქმედებითი კავშირები და გაერთიანებანი, სახშვავლებლები აქტიურად უნდა ჩაებან ბრძოლაში შრომისა და სწავლის მაღალი ეფექტიანობისა და კულტურისათვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მინდობილი საქმისათვის თვითეული ხელმძღვანელის, თვითეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის, ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის, კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის.

დაევალოთ რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს ფართო პროპაგანდა გაუწიონ რესპუბლიკის მშრომელთა მოძრაობას სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ დაუჭერენ მხარს მოწინავე კოლექტივების ინიციატივას და აქტიურად ჩაებმებიან ბრძოლაში სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ამ საფუძველზე წარმატებით შეასრულებენ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მის დირექტივებს ხუთწლიანი გეგმის შესახებ. (საინფორმი).

როცა საწარმო ერთ აღგილს ტკეპნიდა

მწარე გაკვეთილი, პირველი ნაბიჯები

ძალაან ფოთის მრეწველობა სამარცხვინოდ ჩამორჩა. საუბილეო წელს ვერ შეასრულა როგორც საერთო პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის ათი თვის გეგმები, ნაგვლად 85 მილიონ 934 ათასი მანეთისა, გამოშვებულია 72 მილიონ 268 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც გეგმის 84 პროცენტს შეადგენს.

ჩამორჩენილ საწარმოთა რიგებშია ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხანა, რომელიც არა მარტო ჩვენი დიადი სამშობლოს სამრეწველო ქალაქებს, არამედ საზღვარგარეთის 40-მდე ქვეყანას, მათ შორის იაპონიას, საფრანგეთს, იტალიას, ინდოეთს, ირანს აწვდის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების სხვადასხვა მოწყობილობას.

10 თვეში ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას დააკლო 920 ათასი მანეთი, ხოლო რეალიზაციისას—231 ათასი მანეთი. ვერც ნომენკლატურის გეგმა შეასრულა. ელექტროგამაძლიერებელი „ემუ-25-50“ გეგმით 2.155 ცალი უნდა დაემზადებინა. გამოუშვა 1.569 ცალი. ნომენკლატურის დაცვით ვერ გამოუშვა აგრეთვე ღის ნათურები, ცვლადი დენის ელექტროძრავები და სხვ.

მართალია, კარგი მუშაობით არც შარშან ბრწყინავდა ქარხანა (1971 წლის პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა მხოლოდ 95,5 პროცენტით). მაგრამ მიმდინარე წელს ეს ჩამორჩენა უფრო საგრძნობი გახდა. მაგალითად. გასული წლის 10 თვესთან შედარებით წელს შრომის საყოფიერება შემცირდა 10.8 პროცენტით, წარმოების მოცულობა — 586 ათასი მანეთით. თუ შარშან სამუშაო დროის უმიზეზო დანაკარგები 142 კაცდღეთ განისაზღვრებოდა, წელს ეს მაჩვენებელი 247 კაცდღემდე გაიზარდა.

რამ განაპირობა ქარხნის ასეთი ჩამორჩენა?

ბათუმის სარეცხი მანქანების ქარხნის პროფილის შეცვლასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ შარშან მოსკოვის ელექტროძრავების მთავარმა სამმართველომ ფოთის ქარხანას გეგმით გათვალისწინებული „ავე 5-71-4-ს“ ტიპის მიკროძრავების გამოშვება შეუმცირა 45 ათასი ცალით. ნოლო მის ნაცვლად მიმდინარე წელს ქარხანას უნდა აეთვისებინა ახალი სახის პროდუქცია — მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების ავტომატური დანადგარებისათვის საჭირო ელექტროძრავები. ეს ახალი პროდუქციის გამოშვების გეგმას დააკლო 1.569 ცალი. ნომენკლატურის დაცვით ვერ გამოუშვა აგრეთვე ღის ნათურები, ცვლადი დენის ელექტროძრავები და სხვ.

მართალია, კარგი მუშაობით არც შარშან ბრწყინავდა ქარხანა (1971 წლის პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა მხოლოდ 95,5 პროცენტით). მაგრამ მიმდინარე წელს ეს ჩამორჩენა უფრო საგრძნობი გახდა. მაგალითად. გასული წლის 10 თვესთან შედარებით წელს შრომის საყოფიერება შემცირდა 10.8 პროცენტით, წარმოების მოცულობა — 586 ათასი მანეთით. თუ შარშან სამუშაო დროის უმიზეზო დანაკარგები 142 კაცდღეთ განისაზღვრებოდა, წელს ეს მაჩვენებელი 247 კაცდღემდე გაიზარდა.

ეს ფაქტები ადასტურებენ, რომ ყველგან როდი ეცდებიან ჯეროვანი პასუხისმგებლობით ამ მნიშვნელოვან საქმეს. ნაცვლად იმისა, რომ ადგილზე აწონონ, აზომონ, დათვალონ და სავანტილატორო დანადგარებისათვის საჭირო ცვლადი ღენის ძრავები. სერიული გამოშვება იანვარიდან უნდა დაეწყოთ იმ პირობით, რომ წლის ბოლომდე 15-ათასი ცალი დაემზადებინათ. წლის პირველ ნახევარში აღნიშნული პროდუქციის გამოსაშვებად კი წარმოების მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო.

სამწუხაროდ, ახალი პროდუქციის ათვისების საქმეს ქარხნის კოლექტივმა თავი ვერ გაართვა, დროულად ვერ უზრუნველყო ტექნოლოგიური პროცესების წარმოებაში დანერგვის სისტემის შემუშავება. ვერ მოიმარაგა საჭირო ნედლეული და საკომპლექტაციო დეტალები, ვერ უზრუნველყო მზა პროდუქციისათვის საჭირო რაოდენობით დეტალებისა და კვანძების დროულად დამზადება, ვერ მოამზადა კვალიფიციური მუშები. საჭირო 140 კვალიფიციური ზეინკლის, ნიჩრადავის და სხვა პროფესიის მუშის ნაცვლად დღეისათვის მხოლოდ 80 მუშა მომზადდა. ამიტომ ქარხანამ ამ სახის პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო სიმძლავრე მხოლოდ 60 პროცენტით აითვისა.

უნდა გამოეშვათ მეორე სახის ახალი პროდუქციაც — მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები. ტექნოლოგიური გეგმით მისი საცდელი პარტია 500 ცალი მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში უნდა დამზადებულიყო, რაც არ გაკეთებულა, რადგან პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო დაზგა-დანადგარები და წარმოების ტექნოლოგიური აღჭურვილობა ქარხანას არა აქვს.

ქარხნის ყოფილი ხელმძღვანელობის უდარდელობა იქამდეც კი მივიდა, რომ მიმდინარე წლის მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების გამოშვების გეგმაც ჩაშალა. ქარხანას წელს უნდა გამოეშვა 20 ათასი მანეთის მასობრივი მოთხოვნილების საქონელი. მომზადდა კიდეც ტექნიკური დოკუმენტაციები, დამზადდა ნიმუშები, რომლებიც ზემდგომმა ორგანოებმა დაამტკიცეს. ამ პროდუქციის მიწოდებაზე ქარხანამ ხელშეკრულებაც საჭირო ალუმინის სხმულები. ექვსი სახეობის 13.900 სხმულის ნაცვლად მიაწოდა 11.892 ცალი, აქედან 387 ცალი წუნი იყო. ცხინვალის „უმაღლესნის“ ქარხანამ დაარღვია პროდუქციის მიწოდების გრაფიკი და ნოემბერ-დეკემბერში გამოაგზავნა მთელი წლის ფონდის 30 პროცენტი ძრავებისათვის დასახვევი მავთული, მიღებული ნედლეულის 11,4 ტონა წარმოებისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა და უკან დაუბრუნდა ქარხანას. მიმდინარე წელსაც 3 ტონაზე მეტი წუნი ნედლეული დაუბრუნდა ცხინვალის ქარხანას.

რაკი შიდა საქარხნო წუნზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა ვთქვათ, რომ შარშან ამ წუნმა აქ 20 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო მიმდინარე წლის 10 თვეში — 9,6 ათასი მანეთი. მიუხედავად ამ მიზეზებისა ხელეღო თუ არა ქარხანას ჩამორჩენისათვის თავი დაეღწია? რასაკვირველია. შეეძლო, რომ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები მაგალითად, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობდნენ ქარხნის საეურნეო და პოლიტიკურ საქმიანობას. ამ პირველადი პარტიული ორგანიზაციის 120 საკომ წევრსა და 13 კანდიდატს ითვლის, ლენინური კომკავშირის რიგებში კი 257 ახალგაზრდა. ეს დიდი ძალა ვერ რაზმავს მშრომელებს ხუთწლიდის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, დაბალია წარმოების კულტურა, ხშირია მუშაობა დენადობა, სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ამ სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ქარხნის დირექტორმა ე. კოკიანმა ხავსებით დაიმახსოვრა თანამდებობიდან მოხსნა, ხოლო ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საგანგაშო-საარჩევნო კრებამ პარტბიუროს მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ბ. ლადალაძე.

გაბარებული ღონისძიების შედეგად ქარხანამ სექტემბრისა და ოქტომბრის გეგმები შესრულა, ოქტომბერში გეგმით გათვალისწინებული 300 ათასი მანეთის საერთო პროდუქციის ნაცვლად 440 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. გადაგარებრივი შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმაც.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ახალი პროდუქციის ასათვისებლად, წარმოების კულტურული დონის ასამაღლებლად, წლობით ჩამორჩენილობისაგან თავის დასაღწევად.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეს დღეები ტყვიავში

ძველი საბინაია დღევანდელი ტყვიავი. შეძლებულად, კულტურულად ცხოვრობენ კოლმეურნეები, ისინი ყოველწლიურად ხილის, ბოსტნეულის, ჭარხლის, მარცვლეულის მაღალ მოსავალს იღებენ.

— ბიუჯეტი ჩვენი სასოფლო საბჭოსი, რომელიც სოფლებს ტყვიავსა და ფლავს აერთიანებს, 375 ათას მანეთს შეადგენს, — გვიამბობს მისი თავმჯდომარე კარლო რაზმაძე. — ამ სახსრებით ინსტლა ორი საშუალო და ორი დაწყებითი სკოლა, სამი საბავშვო ბაგა-ბაღი, ორი ამბულატორია, საავადმყოფო, კულტურის სახლი, კლუბი და ორი ბიბლიოთეკა.

ტყვიავად როდი ამბობენ სოფლის 1.466 ოჯახის წევრები: „ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც ქალაქში“. ტყვიაველებმა ხუცუბნის სასოფლო საბჭოს მშრომელთა ინიციატივას თავიანთ ყრილობაზე პირველებმა დაუჭირეს მხარი, არ დაგუშვებთ ჩვენს სოფლებში წესრიგის არც ერთ დარღვევას, სპეკულაციას, მექრთამეობას, ლოთობას, — ასეთია ყრილობის მტკიცე გადაწყვეტილება. დღეს იგი უკვე ხორციელდება.

საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში ჩაბმულია ყველა კოლექტივი, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, სასოფლო საბჭოს 62 დეპუტატი — სოფლების მთელი აქტივი. მკაცრი კონტროლი დაწესდა სავაჭრო და კოოპერაციულ ორგანიზაციებზე, ავტოტრანსპორტზე. სასოფლო ყრილობის მოწოდებით მშრომელთა საკრამიდამო ნაკვეთებზე მიღებული 200 ტონა ნამეტი ხილი ჩაბარდა სახელმწიფოს. გადავაქციოთ მშობლიური სოფელი მაღალი კულტურის კერად — ასეთია ტყვიაველთა გადაწყვეტილება.

სუბუსბზე: პიონერების მშობლიური სოფლის სახელოვან ტრადიციებზე მოუთხრობს ლადო კვეცოველის ძმისწული, მისი სახელობის სახლ-უსუნეულის დირექტორი ლევან კვეცოველი (ზემოთ — მარცხნივ); ჩვენ მშობლიურ სოფელში ვრჩებით — გადაწყვეტეს ტყვიავის სკოლის მეათეკლასელებმა. ისინი ყურადღებით უსმენენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის კარლო რაზმაძის საუბარს იმის შესახებ, თუ რა სპეციალისტები სჭირდება ახლა კოლმეურნეობას (ზემოთ — მარჯვნივ); ბოსტნეულ არიან რაზმელები (ქვემოთ — მარჯვნივ) ზაურ ჩიხლაძე, არჩილ გოგუაშვილი და ვაჟა მარადიშვილი; დამზადების პუნქტის გამეგე იოსებ ზედგინიძე (წინა პლანზე — მარცხნიდან) და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კარლო რაზმაძე ამოწმებენ 2.600 კილოგრამი ვაშლის ხარისხს, იგი თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან ჩააბარა პედაგოგმა ივანე ქარელმა სახელმწიფოს.

ბ. კიკვაძისა და ი. დავითაშვილის
ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სიტყვას საქმე მოჰყვა

ჩვენ კაცუნს ვაკვეთთ ყველაფერზე — ამბობენ ტყვიაველები

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „წყალწყალეულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწყალეულთა გადარჩენისას გამოჩენილი გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხელით მედლით „წყალწყალეულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოვდნენ:

1. ხეთისო პავლეს-ძე კბილ-ცეცხლაშვილი — მილიციის ზემდეგი.

2. ანატოლი . ნიკიფორეს-ძე ლისიმენკო — რიგითი ჯარისკაცი.

3. კარლოს სერგოს-ძე ნახატკიანი — უბნის ინსპექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1972 წლის 20 ნოემბერი.

□

დღეს ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მილიციის ზემდეგის ხ. კბილ-ცეცხლაშვილის, რიგითი ჯარისკაცის ა. ლისიმენკოსა და უბნის ინსპექტორის კ. ნახატკიანის მედლით „წყალწყალეულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ეს მოხდა დუშეთის რაიონში. ზაფხულის ერთ დღეს ათი წლის ნ. აფციაური, რომელიც შინ ბრუნდებოდა, უნდა გადასულიყო ხეობაზე გადებულ ხიდზე. მაგრამ კოკისპირული წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარემ ჩაითრია და წაიღო გოგონა. ბავშვის ძახილზე მოვარდა მილიციის ზემდეგი ხ. კბილ-ცეცხლაშვილი. სიცოცხლის რისკით იგი გადაეშვა ამობოქრებულ მდინარეში და გადაარჩინა გოგონა. მამაცმა მილიციელმა თვითონვე გაუწია გოგონას პირველი დახმარება.

25 ივნისს, არხის პირს მიმავალმა საბჭოთა არმიის რიგითმა ჯარისკაცმა ა. ლისიმენკომ დაინახა გოგონა, რომელიც იბრძოლებდა. ჯარისკაცი მაშინვე გადაეშვა გადასარჩენად, და სწრაფი დინების მიუხედავად გადაარჩინა 15 წლის ო. ლეშოვა.

კომკავშარელი ა. ლისიმენკო პატივისცემით სარგებლობს ნაწილში, იგი სანრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადსანიშ.

3 ივლისს ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკის მცხოვრებმა ა. კარახანიანმა გადაწყვიტა ებანავა სოფლიდან შორიახლოს მდებარე ტბაში. მაგრამ ვერ გაითვალისწინა თავისი ძალები და ჩაიძირა. ამ დროს ტბასთან გაიარა ახალქალაქის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უბნის ინსპექტორმა კ. ნახატკიანმა, რომელმაც გაიგონა ძახილი — მიშველეთო. გაბედულმა ინსპექტორმა გადაარჩინა წყალწყალეული და პირველი დახმარება გაუწია მას.

(საქინფორმი).

სამეურნეო საქმიანობის სარკე

ევროკავშირთან დამყარებული კოლმეურნეობათა ინვესტიციებისა და ფლიური ანგარიშების შედგენაში

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა. საბჭომ მიიღეს დადგენილება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრების ჩატარების შესახებ, რომლითაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარტიის საოლქო, რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების მშრომელთა დეპუტატების აღმასკომებს დაეგალათ პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს საშეურნეო წლის დამთავრებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებაში და უზრუნველყონ, რომ ყველა კოლმეურნეობასა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციაში მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე და დადგენილ ვადებში დამთავრდეს ძირითადი საშუალებების, სასაქონლო მატერიალურ-ფასეულობათა, ფულადი სახსრებისა და ანგარიშსწორების ინვენტარიზაცია. ამასთან სრულყოფილად აისახოს მისი შედეგები საბუღალტრო აღრიცხვაში, განისილონ კოლმეურნეობათა გაგებიობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საბჭოების სხდომებზე.

ამჟამად კი დადგა პერიოდი, როდესაც საჭიროა შეკამდეს და დოკუმენტებში აისახოს კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საწარმოო-საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის შედეგები. კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში იწყება საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება. ესენია: წლიური ინვენტარიზაცია, წლიური ანგარიშის შედგენა და წლის შედეგების განხილვა-დამტკიცება. ამ ღონისძიებების დროულად და სათანადოდ განხორციელება დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. მასში მონაწილეობის მიღება წარმოების ყველა ხელმძღვანელის, სპეციალისტის, საწარმოო ქვედანაყოფის უფროსის, რიგითი კოლმეურნის საპატიო მოვალეობაა. ღრმად და საფუძვლიანად უნდა გაუკეთდეს ანალიზი სამეურნეო წლის შედეგებს.

მოქმედი წესის შესაბამისად წლიური ინვენტარიზაცია კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში 31 დეკემბრამდე გრძელდება. მან უნდა გამოარკვიოს, თუ როგორ არის დაცული კოლმეურნეობის საზოგადოებრივი დოვლათი, დაადგინოს ძირითადი საშუალებები, ფულადი და მატერიალური სახსრების ნაშთები თვითეული მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიხედვით, დაარუსტოს დებიტორებთან და კრედიტორებთან ურთიერთანგარიშსწორების მდგომარეობა, გამოავლინოს ქონებისა და ფულადი საშუალებების ზედმეტობა ან დანაკლისი, დროულად მიიღოს ზომები საზოგადოებრივი დოვლათის ხელყოფის აღსაკვეთად.

როგორც წესი, საინვენტარიზაციო კომისია ირჩევა კოლმეურნეობის გამგეობის ან საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციის საბჭოს სხდომაზე და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. მან თავისი მუშაობა უნდა წარმართოს ინსტრუქციის შესაბამისად შედგენილი გეგმის მიხედვით.

მაგრამ შემოწმების ფაქტები ადასტურებენ, რომ ყველგან როდი ეცდებიან ჯეროვანი პასუხისმგებლობით ამ მნიშვნელოვან საქმეს. ნაცვლად იმისა, რომ ადგილზე აწონონ, აზომონ, დათვალონ და დააზუსტონ მატერიალური და ფულადი საშუალებების ნაშთები, საინვენტარიზაციო ფურცლებში მონაცემები საბუღალტრო აღრიცხვის დავთრებიდან გადაეწეროთ. ზნაურის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში გასულ წელს საინვენტარიზაციო აღწერილობის მონაცემები არ შეადარეს საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს, არ დაადგინეს მოკმის ან დანაკლისი. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ინვენტარიზაცია კარგად თავის მნიშვნელობას.

ხაშურის რაიონის ლაბა სურამის კოლმეურნეობაში სრულიად არ ჩაუტარებიათ ნათობპროდუქტების, მექანიზაციისა და მეცხოველეობაში მოშავალი პერიოდის ხარჯებისა და დაუმთავრებელი მშენებლობის ინვენტარიზაცია. ირკვევა, რომ ზოგიერთ რაიონში მიმდინარე წელსაც ადგილი აქვს დარღვევებს ინვენტარიზაციის მიმდინარეობაში. ბორჯომისა და ცაგერის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ოქტომბრის ბოლო რიცხვებისათვის ეს სამუშაო დაწყებული არ ქმნილან, არ არის გამორიცხული რომ მსგავს მდგომარეობას სხვანაირ ქმნდეს ადგილი. გასული წლის შეცდომები რომ არ განმეორდეს, საჭიროა ამთავითვე ყველა კოლმეურნეობისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციაში შემოწმდეს, თუ როგორ მიმდინარეობს წლიური ინვენტარიზაცია და მივიღოთ ზომები ჩამორჩენის დასაძლევად.

ინვენტარიზაციის ჩატარებასთან უშუალოდ დაკავშირებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის დებიტორული დავალიანების ამოღება. საჭიროა დროულად მოხდეს თვითეულ ორგანიზაციასთან, დაწესებულებასთან ურთიერთანგარიშსწორების შედარება; დადგინდეს დავალიანების დაფარვის გეგმიანურების მიზეზები, ურჩი გადამხდელების მიმართ მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები.

გამოვლინებულია ფაქტები, როდესაც ზოგიერთი კოლმეურნეობა დავალიანებას მიჩქმალვის გზით ხელოვნურად ამცირებს. ქ. ტყიბულის სოფელ სოჩხეთის კოლმეურნეობაში 1971 წლის წლიურ ანგარიშში დებიტორული დავალიანება 12,4 ათასი მანეთით ნაკლები უჩანდა. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სხვა რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაშიც. დავალიანების ასეთი წესით „შემცირება“ დანაშაულია და იგი დროზე უნდა გამოვლინდეს და აღიკვეთოს.

ინვენტარიზაციის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს მოსამზადებელი მუშაობა წლიური ანგარიშის წესიერად და დროულად შედგენისათვის. ამასთან სამეურნეო წლის შედგენის შეჯამებაში ყველა სპეციალისტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. მათ დროზე უნდა წარადგინონ ბუღალტერიაში ყველა დოკუმენტი, რომელიც მათს საქმიანობას ეხება. არცთუ ისე იშვიათია ფაქტები, როდესაც საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და მატერიალურად პასუხისმგებელი პირები დიდი დაგვიანებით აბარებენ დოკუმენტებს. ეს იწვევს სერიოზულ ხარვეზებს ინვენტარიზაციის შედეგების გამოყვანის, არაპირდაპირი ხარჯების განაწილების, ნამეტი ბალანსის ანგარიშების დახურვის საქმეში. ამას ხელს უწყობს აღრიცხვის დარღვა ზოგიერთი მუშაკის გულგრილი დამოკიდებულება საქმისადმი.

სოფელ საწირის (ქ. ტყიბული) კოლმეურნეობის 1971 წლის ანგარიშში მეცხოველეობის დანახარჯები ფაქტიურთან შედარებით 15.273 მანეთით ნაკლები უჩანდა. მსგავს ფაქტებს ადგილი ქმნიდა ლინჩხუთის, დაფსოს, ლენტეხის და ზოგიერთი სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

